ბატონიშვილის ბიბლიოთეკა

ციტირებისთვის:

ჯომარიძე ნ., დეკანოსიძე თ., ქურდოვანიძე ნ., მსხვერპლისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევა, დამხმარე სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის, ხ. ყვირილაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2020

ელექტრონული იურიდიული ბიბლიოთეკა www.princelibrary.ge

შექმნილია USAID/PROLoG-ის ფინანსური ხელშეწყობით

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

USAID ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

მსხვერპლისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევა

(დამხმარე სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის)

სახელმძღვანელოს მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) შეშვეობით იქნა გაწეული. სახელმძღვანელოს შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

საია მადლობას უხდის „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ ცენტრს“ (EHRAC) სახელმძღვანელოს მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

ავტორები: ნინო ჯომარჯიძე
თამარ დეკანოსიძე
ნონა ქურდოვანიძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2020, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შესავალი 5

1. ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თავისებურებები 7

2. ზოგადი ინფორმაცია, რომელსაც მსხვერპლის ახსნა-განმარტება უნდა მოიცავდეს 12

3. კითხვარი წამების/არასათანადო მოპყრობის მსხვერპლისთვის ახსნა-განმარტების ჩამოსართმევად 14

   3.1. გამოსაკითხი პირის პერსონალური მონაცემები 14

   3.2. დაკავებასთან დაკავშირებული გარემოებები 14

   3.3. ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული გარემოებები ... 15

   3.4. დაკითხვა/გამოკითხვასთან დაკავშირებული გარემოებები 15

   3.5. სამართლებრივი გარანტიების დაცვა 16

   3.6. დაკავების პირობები 17

   3.7. ძალადობის ფორმები 18

   3.8. მტკიცებულებები 20

   3.9. გამოძიებასთან დაკავშირებული კითხვები 21

4. სექსუალური ძალადობის მსხვერპლისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევა 23

   4.1. პერსონალური მონაცემები 23

   4.2. ზოგადი ინფორმაცია დანაშაულის შესახებ 23

   4.3. დანაშაულის შესახებ შეტყობინება 24

4.4. დანაშაულის გამოძიება და
სისხლისსამართლებრივი დევნა 25

4.5. სასამართლოს ეტაპი 27

4.6. სერვისები 30

4.7. დამატებითი კითხვები მოწყვლადი ჯგუფებისთვის 30

შშმ პირები 31

სექსმუშაკები 31

ეთნიკური უმცირესობები (იმავე სახის კითხვები
მიგრანტების შემთხვევაში) 32

ტრანსგენდერი ქალები 32

შესავალი

ეროვნულ დონეზე მსხვერპლის ინტერესების სათანადოდ დასაცავად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ახსნა-განმარტება, სადაც ის დეტალურად და ამომწურავად აღწერს მომხდარ ფაქტს და უთითებს ყველა იმ სავარაუდო მტკიცებულებაზე, რომელიც შეიძლება, საფუძვლად დაედოს საქმის ობიექტურ და სრულყოფილ გამოძიებას. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეებზე ეფექტიანი სამართალწარმოების განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია, მსხვერპლს ადვოკატმა საწყის ეტაპზევე (სავარაუდო დანაშაულის ჩადენიდან პირველი შესაძლებლობისთანავე) ჩამოართვას სრული ახსნა-განმარტება. დაგვიანებული გამოკითხვის შედეგად, შეიძლება, მსხვერპლმა ცხადად და თანმიმდევრულად ვეღარ გაიხსენოს მომხდარი ფაქტის დეტალები, რაც ხელს შეუშლის როგორც ეროვნულ დონეზე საქმის სათანადოდ წარმართვას, ასევე, იმოქმედებს საერთაშორისო მექანიზმებში მის გაგზავნასა და ეფექტიანად წარმოებაზე.

სახელმძღვანელოს მიზანია, წამების/არასათანადო მოპყრობის, ასევე, სექსუალური ძალადობის მსხვერპლების საქმეების თავისებურებების გათვალისწინებით, ყურადღება გაამახვილოს იმ საკითხებზე, რომელთა ასახვაც მსხვერპლის ახსნა-განმარტებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სახელმძღვანელო პრაქტიკოს ადვოკატებს სთავაზობს სავარაუდო კითხვების ჩამონათვალს, რომელიც, კონკრეტული საქმის გარემოებების მხედველობაში მიღებით, შესაძლებელია, გამოყენებული იყოს მსხვერპლისგან ახსნა-განმარტების მისაღებად. კითხვარები დაეხმარება ადვოკატს წამების/არასათანადო მოპყრობის ან/და სექსუალური ძალადობის მსხვერპლისგან იმ ინფორმაციის მოპოვებაში, რომელსაც ამ ტიპის საქმეებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მსხვერპლის სრულყოფილი ახსნა-განმარტება ადვოკატს შესაძლებლობას მისცემს, სწორად დაგეგმოს სამართალწარმოების სტრატეგია როგორც ეროვნულ დონეზე, ისე საერთაშორისო მექანიზმებში საქმის საწარმოებლად. სახელმძღვანელოში მოცემული კითხვარები რელევანტურია როგორც მსხვერპლების, ისე მოწმეებისგან ახსნა-განმარტებების მისაღებად.

მსხვერპლის ახსნა-განმარტება, საჭიროების შემთხვევაში (მაგალითად, როდესაც საგამოძიებო ორგანოებს მსხვერპლი/მოწმე სა-

ერთოდ არ ჰყავთ გამოკითხული, ან მისგან მხოლოდ ზოგადი ჩვენება აიღეს. საგამოძიებო ორგანოებში ახსნა-განმარტების გაგზავნის საკითხი ადვოკატმა თავად უნდა გადაწყვიტოს მსხვერპლის და საქმის ინტერესების გათვალისწინებით), შესაძლოა, დაერთოს საგამოძიებო ორგანოსა ან/და სხვა უწყებაში (მაგალითად, სახალხო დამცველის ოფისი) ადვოკატის მიერ წარსადგენ განცხადებას. ასევე, დეტალური ახსნა-განმარტება ადვოკატს შესაძლებლობას მისცემს, თვალი მიადევნოს გამოძიების მიმდინარეობის პროცესს და გააკონტროლოს, ახსნა-განმარტებაში მოცემული ყველა მნიშვნელოვანი გარემოება არის თუ არა სათანადოდ შეფასებული, გამოკვლეული და მტკიცებულებებით გამყარებული საგამოძიებო ორგანოების მიერ.

1. ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თავისებურებები

მნიშვნელოვანია, რომ მსხვერპლთან შეხვედრამდე ადვოკატმა წინასწარ მოამზადოს ის ზოგადი კითხვები/საკითხები, რომლებსაც გასაუბრებისას უნდა შეეხოს. შესაძლოა, სია არ იყოს ამომწურავი, თუმცა, წინასწარ მომზადებული კითხვები ადვოკატს დაეხმარება ინტერვიუს სწორად წარმართვაში, მსხვერპლისგან საჭირო ინფორმაციის მიღებასა და იმ თემების განხილვის აცილებაში, რომლებიც მსხვერპლის ახსნა-განმარტების მოსამზადებლად ნაკლებად მნიშვნელოვანია ან/და საქმესთან შეხება არ აქვს. ახსნა-განმარტების ჩამორთმევის პროცესში მსხვერპლისთვის შესამჩნევი არ უნდა იყოს, რომ ადვოკატი წინასწარ მომზადებული კითხვებით ხელმძღვანელობს, რათა ამ ფაქტმა ხელი არ შეუშალოს ადვოკატსა და მსხვერპლს შორის ნდობის ჩამოყალიბებას.

გახსოვდეთ, წინასწარ მომზადებული კითხვები არის ადვოკატისთვის, რათა მას ინტერვიუს სწორად წარმართვაში დაეხმაროს და არა - იმისთვის, რომ აღნიშნული კითხვების ჩამონათვალი გადაეცეს მსხვერპლს და მას თავად მოუწიოს კითხვებზე პასუხის გაცემა და ახსნა-განმარტების მომზადება.

ქვემოთ მოცემულია კითხვების არასრული ჩამონათვალი, რომელიც, შეიძლება, რელევანტური იყოს კონკრეტული პირის გამოკითხვის დროს. თუმცა, შესაძლოა, საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახსნა-განმარტების აღებისას სხვა ტიპის კითხვების მომზადება გახდეს საჭირო. ასევე, აქ წარმოდგენილი ყველა შეკითხვა შეიძლება არ იყოს რომელიმე შემთხვევისთვის შესაფერისი და, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ყველა მათგანის დასმის აუცილებლობა არ არსებობდეს.

ახსნა-განმარტების ჩამორთმევის დაწყებამდე ადვოკატს შეუძლია, წინასწარ გაესაუბროს მსხვერპლს მის მდგომარეობასა ან სხვა საკითხებზე, რომლებიც ამ უკანასკნელისთვის მგრძნობიარე და მნიშვნელოვანია. ეს დაეხმარება ადვოკატს ნდობის მოპოვებაში, გამოსაკითხი პირის უკეთესად გაცნობასა და მისთვის დაძაბულობის მოხსნაში. ამგვარი საუბრის დროს, შესაძლოა, მსხვერპლი შეეხოს საქმისთვის მნიშვნელოვან დეტალებსაც. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია, ადვოკატი ახსნა-განმარტების აღებისას კვლავ დაუბრუნდეს

აღნიშნულ საკითხებს და პირს დამატებითი დამაზუსტებელი კითხვები დაუსვას.

ადვოკატმა მსხვერპლს ნათლად და ცხადად უნდა განუმარტოს ახსნა-განმარტების ჩამორთმევის მიზეზი, საჭიროება და ის, თუ რა მიზნით შეიძლება მოხდეს შემდგომში მისი გამოყენება. ასევე, თუკი ადვოკატი გეგმავს აღნიშნული ახსნა-განმარტების საგამოძიებო ორგანოში წარდგენას, მსხვერპლი ამის თაობაზე ინფორმირებული უნდა იყოს. ახსნა-განმარტების ჩამორთმევისას, საჭიროების შემთხვევაში, ადვოკატმა მსხვერპლს უნდა აუხსნას სამართლებრივი ტერმინების და მომავალში განსახორციელებელი სამართლებრივი პროცედურების მნიშვნელობა. აუცილებელია, რომ საუბრის დაწყებამდე ადვოკატმა პირისგან მიიღოს თანხმობა გამოკითხვასთან დაკავშირებით. ამასთან, მან მსხვერპლს უნდა აცნობოს იმ რისკების შესახებ, რაც, შესაძლოა, ახსნა-განმარტების არქონას მოჰყვეს.

ახსნა-განმარტების პროცესის იოლად წარმართვისთვის ყველაზე სასარგებლო მეთოდი ინფორმაციის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მიღებაა, რადგან ეს არის ინციდენტის განვითარების გზა. უმჯობესია, პირველი კითხვა თავად ადვოკატმა დასვას და მსხვერპლს თავისი ისტორიის მოყოლა სთხოვოს. მაგალითად, ადვოკატს შეუძლია, გამოკითხვა დაიწყოს მიმართვით - „გთხოვთ, ქრონოლოგიურად მომიყევით, რა შეგემთხვათ“. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით თხრობა ადვოკატს დაეხმარება, დასვას დამაზუსტებელი კითხვები კონკრეტულ შემთხვევასა ან იმ შეუსაბამობაზე, რომელიც, შესაძლოა, თხრობის ან/და კითხვებზე პასუხის გაცემის პროცესში გამოვლინდეს. თუმცა, თუ ადვოკატი შეამჩნევს, რომ მსხვერპლისთვის საუბრის შეწყვეტინების და მისთვის დამაზუსტებელი კითხვების დასმის შემდეგ, ამ უკანასკნელს თხრობის გაგრძელება უჭირს, მაშინ უმჯობესია, ადვოკატმა მსხვერპლს ჯერ თავიდან ბოლომდე მოაყოლოს, თუ რა შეემთხვა და მხოლოდ ამის შემდეგ დაუსვას დამაზუსტებელი და დეტალური კითხვები.

ხშირად მსხვერპლი დასმულ შეკითხვას ძალიან მოკლედ, სრულყოფილი დეტალების მიწოდების გარეშე პასუხობს. ასეთ დროს სათანადო ინფორმაციის მისაღებად და ინტერვიუს გასაგრძელებლად ადვოკატს შეუძლია, გამოიყენოს ისეთი ზოგადი კითხვები, როგორიცაა: „რა მოხდა შემდეგ?”, „შემდგომ როგორ განვითარდა მოვლენები?“ აღნიშნული წაახალისებს მსხვერპლს, თანმიმდევრულად განაგრძოს მოვლენების თხრობა.

მნიშვნელოვანია, რომ ახსნა-განმარტება ასახავდეს მსხვერპლის მიერ გადმოცემულ მოვლენებს და არ მოხდეს დახურული ან მიმანიშნებელი კითხვების დასმა, რომლებიც შეიცავს სავარაუდო ალტერნატიულ პასუხებს. მაგალითად, ადვოკატი უნდა ეცადოს, თავი აარიდოს მსხვერპლისთვის ისეთი მიმანიშნებელი შეკითხვების დასმას, როგორებიცაა: „გცემათ თუ არა პოლიციელმა?" ან „მსხვერპლი სასტიკად სცემეს, არა?"

ხშირად მსხვერპლი ვერ აფასებს, რომ, შესაძლოა, რომელიმე ინფორმაცია საქმისთვის მნიშვნელოვანი იყოს ან/და კონკრეტული ფაქტი დარღვევას წარმოადგენდეს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, ადვოკატმა შესაბამისი კითხვები დაუსვას დეტალების დასაზუსტებლად, რაც მას საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების ან ახალი სავარაუდო დარღვევების გამოვლენაში დაეხმარება. მაგალითად, შეიძლება პირმა თქვას, რომ იზოლატორში პირობები დამაკმაყოფილებელი არ იყო, თუმცა, ვითარება დაწვრილებით არ აღწეროს. ასეთ დროს აუცილებელია, ადვოკატმა უფრო დეტალურად გამოიკითხოს თითოეული ასპექტი და მსხვერპლს მნიშვნელოვანი ფაქტები დააზუსტებინოს. მაგალითად, ჰკითხოს, რამხელა იყო საკანი, ხელმისაწვდომი იყო თუ არა ტუალეტი, როგორი იყო კვების რაციონი, დღეში რამდენჯერ მიეწოდებოდა საკვები და ა.შ. მეორე მხრივ, შესაძლოა, მსხვერპლმა საერთოდ არ ჩათვალოს, რომ იზოლატორში არსებული არასათანადო პირობებით მისი უფლებები დაირღვა, შესაბამისად, თხრობის დროს ეს არც ახსენოს. ასეთ დროს, აუცილებელია, ადვოკატმა თავად დაუსვას ზოგადი კითხვები ყველა იმ შესაძლო გარემოებასთან დაკავშირებით, რომელიც მსხვერპლს შეემთხვა ან, შესაძლოა, შემთხვეოდა. მაგალითად, თუ პირი აღნიშნავს, რომ ის იზოლატორში მოათავსეს, თუმცა, იზოლატორში არსებულ პირობებზე ყურადღების გამახვილების გარეშე, სხვა ფაქტების მოყოლას აგრძელებს, ადვოკატმა უნდა ჰკითხოს, როგორი პირობები იყო იზოლატორში, როგორ ექცეოდნენ მას იზოლატორის თანამშრომლები, რა გამოკვლევები ჩაუტარეს იქ და ა.შ. ამ ფორმით ახსნა-განმარტების ჩამორთმევა ადვოკატს ეხმარება, მოიპოვოს დეტალური ინფორმაცია არა მარტო იმ მოვლენების შესახებ, რომლებზეც მსხვერპლი უყვება, არამედ, ასევე, დააიდენტიფიციროს სხვა შესაძლო დარღვევებიც.

ხშირად, შესაძლოა, ერთი ინტერვიუ არ აღმოჩნდეს საკმარისი მსხვერპლისგან სრული ახსნა-განმარტების მისაღებად. მნიშვნე-

ლოვანია, აღნიშნულის თაობაზე ადვოკატმა მსხვერპლი გამოკითხვის დაწყებამდე გააფრთხილოს. თუმცა, მეორე მხრივ, შეიძლება, ინტერვიუს დროს გამოიკვეთოს სხვა გარემოება, რის გამოც მიზანშეწონილი გახდეს ახსნა-განმარტების სხვა დროისთვის გადადება ან/და შესვენება გარკვეული დროით, მაგალითად, მსხვერპლის ემოციური მდგომარეობის (ანერვიულდა, გადაიღალა) ან/და სხვა მიზეზის გამო. ინტერვიუს გადადების შემთხვევაში, შემდეგი გამოკითხვის დაგეგმვამდე, ადვოკატმა უნდა განსაზღვროს ის საკითხები, რომლებიც უკვე მიღებულ ინფორმაციაში კვლავ დასაზუსტებელია და მომდევნო შეხვედრის დროს, სხვა საკითხებთან ერთად, ისინიც დააზუსტოს.

გამოკითხვის დასრულებისას ადვოკატმა მსხვერპლს უნდა ჰკითხოს, ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელზეც ინტერვიუს დროს კითხვა არ დასმულა, თუმცა, მისი დამატება და ახსნა-განმარტებაში ასახვა სურს.

იმ შემთხვევაში, თუ ახსნა-განმარტების გარდა საქმეში სხვა მტკიცებულებებიც მოიპოვება, მაგალითად, სამედიცინო დოკუმენტაცია, ფოტოები, ვიდეომასალა და სხვა, უმჯობესია, ადვოკატი, პირველ რიგში, გაეცნოს ყველა შესაძლო მტკიცებულებას, ერთიანობაში შეაფასოს ისინი და, საჭიროების შემთხვევაში, დოკუმენტაციის საფუძველზე გამოკვეთილი დეტალები დააზუსტოს ახსნა-განმარტებაში. მსხვერპლმა ახსნა-განმარტებას ხელი მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოაწეროს, რაც ამ უკანასკნელს თავიდან აარიდებს განმეორებით გამოკითხვას და დამატებით ახსნა-განმარტებაზე ხელმოწერას. თუმცა, თუ ახალი მტკიცებულება მოგვიანებით, მსხვერპლის გამოკითხვის შემდგომ გამოიკვეთა, მაშინ ადვოკატმა მას უნდა ჩამოართვას ახალი ახსნა-განმარტება, რომელშიც საუბარი იქნება უშუალოდ ამ ახალ მტკიცებულებაზე, მის მოპოვებასა და მნიშვნელობაზე.

მას შემდეგ, რაც ადვოკატი გამოკითხვას დაასრულებს, მსხვერპლმა ახსნა-განმარტება ყურადღებით უნდა წაიკითხოს (ან წაუკითხონ სიტყვასიტყვით, მისთვის გასაგებ ენაზე) და ხელი მოაწეროს ყველა გვერდზე. ადვოკატმა იქვე უნდა მიუთითოს ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თარიღი. თუ იგი მსხვერპლს გამოკითხვის მიზნით რამდენჯერმე შეხვდა, უმჯობესია, ახსნა-განმარტებაზე ის თარიღი მიუთითოს, როდესაც გამოკითხვის პროცესი დაიწყო.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ადვოკატმა მსხვერპლის გამოკითხვის დროს ყურადღებით შეაფასოს და გაითვალისწინოს საქმის ინდივიდუალური გარემოებები, მსხვერპლის მდგომარეობა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის მთლიანი პროცესი ისე წარმართოს, რომ არ გამოიწვიოს მსხვერპლის ხელახალი ტრავმირება.

2. ზოგადი ინფორმაცია, რომელსაც მსხვერპლის ახსნა-განმარტება უნდა მოიცავდეს

ახსნა-განმარტება უნდა შეიცავდეს მკაფიო და კონკრეტულ დეტალებს - მნიშვნელოვანია, რომ ახსნა-განმარტებაში მითითებული ინფორმაცია იყოს ნათლად და გასაგებად გადმოცემული და შეიცავდეს, რაც შეიძლება მეტ, საქმისთვის მნიშვნელოვან დეტალს, თარიღებს. მსხვერპლები თავიანთი ისტორიის მოყოლის დროს ხშირად ბევრ ისეთ ფაქტს იხსენებენ, რომელსაც ნაკლები მნიშვნელობა აქვს ან/და საქმეს საერთოდ არ შეეხება. უმჯობესია, ადვოკატმა ახსნა-განმარტებაში მსგავსი ფაქტების დაფიქსირებისგან თავი შეიკავოს. აღნიშნული საკითხი მან, თითოეული საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მსხვერპლის ისტორიის საფუძველზე, თავად უნდა გადაწყვიტოს.

ახსნა-განმარტება უნდა შეიცავდეს ფაქტებს და არა მოსაზრებებს - ახსნა-განმარტებაში მსხვერპლმა, როგორც წესი, უნდა აღწეროს მხოლოდ ფაქტები, რომლებსაც შეესწრო და არა - თავისი მოსაზრებები ან კომენტარები. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, საქმის თავისებურებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მსხვერპლის მოსაზრების დაფიქსირება. მაგალითად, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევაში მსხვერპლი უნდა გამოიკითხოს დანაშაულის შესაძლო მოტივსა და მიზეზზე. ასევე, თუკი პირი დარწმუნებულია, რომ მისი ნათესავი ცოცხალი აღარ არის ან მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საგამოძიებო ორგანოების მიერ არ ჩატარებულა ეფექტიანი გამოძიება, აღნიშნულის შესახებ მან აუცილებლად უნდა მიუთითოს, თუ რატომ ჩამოუყალიბდა ასეთი მოსაზრება.

ახსნა-განმარტება შედგენილი უნდა იყოს მსხვერპლის სიტყვებით - მნიშვნელოვანია, რომ მსხვერპლის მონათხრობი დაფიქსირდეს მის მიერ გადმოცემული ფორმულირებით, მისივე სიტყვებით, პირველ პირში. თუმცა, ეს არ გულისხმობს, რომ ადვოკატმა ტექსტი გრამატიკულად/სტილისტურად არ გამართოს. ახსნა-განმარტების შედგენისას ადვოკატმა თავი უნდა აარიდოს იურიდიული ტერმინების გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსხვერპლი თავად საუბრობს იურიდიული ტერმინებით. ინდივიდუალური სტი-

ლის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ადვოკატს ერთსა და იმავე საქმესთან დაკავშირებით რამდენიმე ადამიანის გამოკითხვა უწევს. აღნიშნული თითოეულ ახსნა-განმარტებას მეტ სანდოობას შესძენს.

ახსნა-განმარტება არ უნდა შეიცავდეს სამართლებრივ დასაბუთებას ან არგუმენტებს - ის უნდა ასახავდეს მხოლოდ მსხვერპლის მიერ მოწოდებულ ფაქტობრივ გარემოებებს და არ უნდა შეიცავდეს სამართლებრივ დასაბუთებას, როგორიცაა, მაგალითად: „აღნიშნული წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმების დარღვევას".

3. კითხვარი წამების/ არასათანადო მოპყრობის მსხვერპლისთვის ახსნა-განმარტების ჩამოსართმევად

3.1. გამოსაკითხი პირის პერსონალური მონაცემები

- სახელი, გვარი
- დაბადების თარიღი
- საქმიანობა
- მისამართი
- ტელეფონის ნომერი ან სხვა საკონტაქტო ინფორმაცია

3.2. დაკავებასთან დაკავშირებული გარემოებები

- როდის დააკავეს (რომელ დღეს, დღის რომელ მონაკვეთში (თუ დრო ზუსტად არ ახსოვს, მსხვერპლს შეუძლია, სავარაუდო დრო მიუთითოს)) და სად?
- მარტო დააკავეს თუ სხვა პირთან ერთად? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ვინ იყო ის პირი, ვისთან ერთადაც დააკავეს და რა ურთიერთობა აქვს მსხვერპლს მასთან?
- რამდენი პირი მონაწილეობდა მსხვერპლის დაკავებაში? რა ტიპის ტანსაცმელი (სამოქალაქო/სამსახურებრივი) ეცვათ დამკავებლებს? წარუდგინეს თუ არა მათ თავი? შეუძლია თუ არა მათი აღწერა/ამოცნობა?
- განუმარტეს თუ არა დაკავების მიზეზები? დადებითი პასუხის შემთხვევაში, როდის მოხდა განმარტება და ვის მიერ? ოფიციალურად გააცნეს რამე დოკუმენტი დაკავების შესახებ თუ მხოლოდ ზეპირად მოხდა განმარტება? დოკუმენტის გაცნობის შემთხვევაში, გადასცეს თუ არა ასლი და მოაწერა თუ არა ხელი რამე დოკუმენტს? თუ - არა, რა იყო აღნიშნულის მიზეზი?

- როგორ ეპყრობოდნენ დაკავების პერიოდში? მოპყრობასთან დაკავშირებით დეტალური კითხვების შესახებ ინფორმაცია იხილეთ 3.7. თავში „ძალადობის ფორმები“.
- მსხვერპლის დაკავებას შეესწრო თუ არა ვინმე? დადებითი პასუხის შემთხვევაში, იცის თუ არა თვითმხილველი მოწმეების ვინაობა/საკონტაქტო ინფორმაცია?
- როგორი იყო მსხვერპლის ქცევა დაკავების მომენტში?
- დაკავების დროს დამკავებლებმა დაადეს თუ არა ხელბორკილები?
- დაკავების დროს ჩაუტარდა თუ არა პირადი ჩხრეკა? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ვინ ჩაატარა? როგორ მოხდა ჩხრეკის ჩატარება? ჩხრეკის შედეგად რა ამოიღეს? შედგა თუ არა ჩხრეკის თაობაზე ოქმი? მოაწერა თუ არა მსხვერპლმა ხელი ჩხრეკის ოქმს? თუ - არა, რა იყო ამის მიზეზი?

3.3. ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული გარემოებები

- დაკავების შემდეგ როგორ და სად გადაიყვანეს მსხვერპლი?
- ტრანსპორტირებისას შეუკრეს თუ არა ხელები, ფეხები? დადებითი პასუხის შემთხვევაში - როგორ ჰქონდა შეკრული?
- ახვეული ჰქონდა თუ არა თვალები?
- რამდენმა ადამიანმა გადაიყვანა? იგივე პირები იყვნენ, რომლებმაც დააკავეს თუ სხვა პირები? თუ სხვა პირები იყვნენ, რა ეცვათ მათ? წარუდგინეს თუ არა თავი? შეუძლია თუ არა ამ პირების აღწერა/ამოცნობა?
- როგორ ეპყრობოდნენ აღნიშნული პირები ტრანსპორტირების დროს?

3.4. დაკითხვა/გამოკითხვასთან დაკავშირებული გარემოებები

- როდის მოხდა მსხვერპლის დაკითხვა/გამოკითხვა (რომელ დღეს, დღის რომელ მონაკვეთში (თუ ზუსტად არ ახსოვს, შეუძლია, მიუთითოს სავარაუდო დრო)) და სად? რამდენ ხანს გაგრძელდა დაკითხვის/გამოკითხვის პროცესი? გამოჰკითხეს

თუ არა განმეორებით? დადებითი პასუხის შემთხვევაში - რამდენჯერ, რამდენ ხანს გაგრძელდა და რასთან დაკავშირებით მოხდა გამოკითხვა?

- ვინ ახორციელებდა მსხვერპლის დაკითხვას/გამოკითხვას? რამდენი პირი მონაწილეობდა? შეუძლია თუ არა მათი აღწერა/ამოცნობა? ვინ ესწრებოდა დაკითხვას? რა ეცვათ ამ პირებს (სამოქალაქო ტანსაცმელი, პოლიციის ფორმა თუ რამე სხვა)?
- როგორ ეპყრობოდნენ დაკითხვის დროს?
- რასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა მისი დაკითხვა/გამოკითხვა? განუმარტეს თუ არა დაკითხვის/გამოკითხვის მიზეზი?
- დაკითხვის/გამოკითხვის ბოლოს მოაწერინეს თუ არა ხელი რამე დოკუმენტზე? დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა სახის დოკუმენტი იყო? გაეცნო თუ არა მას ხელმოწერამდე? დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა ეწერა ამ დოკუმენტში? დოკუმენტის შინაარსი განსხვავდებოდა თუ არა მსხვერპლის მონათხრობისგან?
- პოლიციის განყოფილებაში ყოფნისას ჩაუტარდა თუ არა პირადი ჩხრეკა? ვინ ჩაატარა? როგორ მოხდა ჩხრეკის ჩატარება? ჩხრეკის შედეგად რა ამოიღეს? შედგა თუ არა მასზე ოქმი? მოაწერა თუ არა ხელი ჩხრეკის ოქმს? თუ არ მოუწერია, რა იყო აღნიშნულის მიზეზი?
- ჩხრეკის ჩატარების მიზნით, მოუწია თუ არა გაშიშვლება ან/და ბუქნების გაკეთება? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ვინ ესწრებოდა ამ პროცესს? როგორი იყო მისი ემოციური მდგომარეობა ამ ვითარებაში?

3.5. სამართლებრივი გარანტიების დაცვა

- მიეცა თუ არა შესაძლებლობა, დაჰკავშირებოდა ახლობლებს და ეცნობებინა ადგილსამყოფელი? დადებითი პასუხის შემთხვევაში - განუმარტეს ამ უფლების შესახებ, თუ დაკავშირება თავად მოითხოვა? დაკავებიდან რამდენ ხანში განუმარტეს აღნიშნული უფლებით სარგებლობის თაობაზე და რა ვადა-

ში მისცეს სარგებლობის საშუალება? ისარგებლა თუ არა ამ უფლებით? მივიდნენ თუ არა მისი ახლო ნათესავები დაკავების ადგილას ან/და პოლიციის განყოფილებაში? მიეცა თუ არა მათი ნახვის საშუალება?

- მიეცა თუ არა შესაძლებლობა, დაჰკავშირებოდა ადვოკატს? დადებითი პასუხის შემთხვევაში - განუმარტეს ამ უფლების შესახებ, თუ დაკავშირება თავად მოითხოვა? დაკავებიდან რამდენ ხანში განუმარტეს აღნიშნული უფლებით სარგებლობის თაობაზე და რა ვადაში მისცეს სარგებლობის საშუალება? ისარგებლა თუ არა ამ უფლებით? მივიდა თუ არა ადვოკატი დაკავების ადგილას? მიეცა თუ არა მისი ნახვის საშუალება?
- მოითხოვა თუ არა სამედიცინო შემოწმების ჩატარება ან/და განუმარტეს თუ არა სამედიცინო დახმარებით სარგებლობის შესახებ? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ჩაუტარდა თუ არა სამედიცინო შემოწმება? ვინ ჩაუტარა და რა ვითარებაში? რა დააფიქსირა სამედიცინო პერსონალმა შემოწმების შედეგად?

3.6. დაკავების პირობები

- როდის მოხდა დაკავების ადგილიდან/პოლიციიდან მსხვერპლის პენიტენციარულ დაწესებულებაში/იზოლატორში გადაყვანა?
- გადაყვანასთან დაკავშირებით მსხვერპლი უნდა გამოიკითხოს იმავე საკითხებზე, რომლებიც ტრანსპორტირების ნაწილშია მოცემული.
- პენიტენციარულ დაწესებულებაში შესახლებამდე, იზოლატორში გადაყვანის შემდეგ, ჩაუტარდა თუ არა მსხვერპლს სამედიცინო შემოწმება? ვინ ჩაუტარა? მოაწერა თუ არა ხელი რამე დოკუმენტს? რა ეწერა დოკუმენტში? გადაეცა თუ არა მისი ასლი? რა სახის დაზიანებები დააფიქსირა სამედიცინო პერსონალმა? სრულად იყო თუ არა მისი დაზიანებები შეტანილი/აღწერილი სამედიცინო დოკუმენტში? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, უშუალოდ, რა არ მიუთითა სამედიცინო პერსონალმა და რა იყო ამაზე მსხვერპლის პოზიცია?
- როგორი პირობები იყო პენიტენციარულ დაწესებულებაში/იზოლატორში? მათ შორის, იყო თუ არა სისუფთავე საკანში?

როგორი იყო სანიტარიული მდგომარეობა? სად მდებარეობდა ტუალეტი? იყო თუ არა ტუალეტი საკნის დანარჩენი ნაწილისგან იზოლირებული? იყო თუ არა საკანში ვენტილაცია?

- რა ზომის იყო საკანი და რამდენი პირი იყო მოთავსებული?
- რამდენი საათით იყო ძილი ნებადართული? იყო თუ არა დაცული პირადი სივრცე? იყო თუ არა მსხვერპლი უზრუნველყოფილი შესაბამისი საძილე საშუალებებით: საბანი, ლეიბი და ა.შ?
- როგორი იყო საჭმლის და წყლის ხარისხი? რა ოდენობით და დღეში რამდენჯერ ხდებოდა საკვებისა და წყლის მიწოდება? საჭმლის რაციონის შედგენისას იყო თუ არა გათვალისწინებული კულტურული/რელიგიური თავისებურებები?
- საჭიროების შემთხვევაში, ეძლეოდა თუ არა სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა და იყო თუ არა უზრუნველყოფილი ექიმის დახმარებით და მედიკამენტებით?

3.7. ძალადობის ფორმები

იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი საუბრობს მის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე, მნიშვნელოვანია, რომ იგი დეტალურად გამოიკითხოს ძალადობის ფორმებთან დაკავშირებით. თუმცა, ამ დეტალების დაზუსტება ისე უნდა მოხდეს, რომ არ გამოიწვიოს მსხვერპლის ხელახალი ტრავმირება. ძალადობის ფორმების თაობაზე, საქმის ვითარების გათვალისწინებით, სავარაუდო შეკითხვები შეიძლება იყოს:

- სად და როდის (რომელ დღეს, დღის რომელ მონაკვეთში (თუ მსხვერპლს დრო ზუსტად არ ახსოვს, შეუძლია, დაახლოებით მიუთითოს)) განხორციელდა ძალადობა? მსხვერპლმა აღწეროს ის ადგილი/ოთახი, სადაც არასათანადო მოპყრობის ფაქტი მოხდა, მათ შორის, რა საგნები შენიშნა მან ოთახში? დაინახა თუ არა რამე წარწერა ოთახში შესვლამდე? დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა სახის წარწერა იყო?
- ძალადობის ფორმების აღწერამდე, მნიშვნელოვანია, მსხვერპლმა ისაუბროს იმაზე, თუ ვინ იმყოფებოდა მასთან ერთად ძალადობის დროს (ამ პირთა სახელები და გვარები, თანა-

მდებობა, პირთა აღწერილობა, ფორმები ან სხვა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია), მათ შორის, ვინ ძალადობდა ან/და ვინ იყო ძალადობის შემსწრე?

- რა ტიპის ძალადობას ჰქონდა ადგილი და რა ფორმით განხორციელდა? იმ მომენტშივე, ცემის შედეგად, რა მდგომარეობაში აღმოჩნდა პირი?
- რა ხერხით/ინსტრუმენტებით ხორციელდებოდა ძალადობა?
- დაკარგა თუ არა მსხვერპლმა გონება? დადებითი პასუხის შემთხვევაში - რის შედეგად?
- ძალადობის დროს მსხვერპლს ჰქონდა თუ არა თვალები ახვეული?
- გააშიშვლეს თუ არა მსხვერპლი? დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა იყო, მისი აღქმით, გაშიშვლების მიზეზი? ადგილი ჰქონდა თუ არა მის მიმართ დამამცირებელ გამონათქვამებს/მოპყრობას?
- რა ფრაზები ესმოდა წამების/არასათანადო მოპყრობის დროს? მას მიმართავდნენ, თუ ერთმანეთში საუბრობდნენ?
- რა იყო ძალადობის მიზეზი და რას ითხოვდნენ ამ დროს მისგან? მაგალითად, დანაშაულის აღიარებას, ვინმესთვის დანაშაულის დაბრალებას.
- რამდენ ხანს გრძელდებოდა მთლიანი „პროცესი“ ან/და თითოეული პროცესი (იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა ადგილას ან/და სხვადასხვა პერიოდით ხორციელდებოდა ძალადობა)?
- „პროცესის“ დასრულების შემდგომ, როგორ გრძნობდა თავს მსხვერპლი, როგორი იყო მისი ემოციური მდგომარეობა და რა გავლენა იქონია მასზე ამ შემთხვევამ? შეეძლო თუ არა დამოუკიდებლად სიარული, თუ სხვისი დახმარებით გადაადგილდებოდა? თუ დახმარება დასჭირდა, ვინ დაეხმარა? სხეულის რა ნაწილში აღენიშნებოდა დაზიანებები, ტკივილები? ჰქონდა თუ არა სისხლდენა? დადებითი პასუხის შემთხვევაში - საიდან?
- იმ შემთხვევაში, თუ რამდენჯერმე დაექვემდებარა პირი არასათანადო მოპყრობას, თითოეულ ინციდენტთან დაკავში-

რებით ცალ-ცალკე უნდა გამოიკითხოს მსხვერპლის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფორმები, განმახორციელებელი პირები, ძალადობის ხანგრძლივობა, მსხვერპლის მდგომარეობა და ა.შ.

3.8. მტკიცებულებები

იმ შემთხვევაში, თუ პირი არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარა, მისი განმარტების გარდა, ასევე მნიშვნელოვანია სხვა მტკიცებულებები, რომლებიც მის მონათხრობს გაამყარებს. კერძოდ, ამ მიმართულებით აუცილებელია, მსხვერპლი გამოიკითხოს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ხომ არ მიუმართავს სამედიცინო დაწესებულებისთვის მკურნალობის ჩასატარებლად და შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის მოსაპოვებლად? დადებითი პასუხის შემთხვევაში, როდის და რომელ დაწესებულებას მიმართა? რა სახის სამედიცინო მკურნალობა/გამოკვლევა ჩაიტარა? აქვს თუ არა სამედიცინო დოკუმენტაცია? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ადვოკატმა უნდა მოითხოვოს მათი ასლების წარმოდგენა. რა სახის დასკვნა გასცა სამედიცინო დაწესებულებამ და რა დიაგნოზი დაუსვა მსხვერპლს? თუ პირი იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში ან/და პენიტენციარულ დაწესებულებაში, ადვოკატმა მსხვერპლს უნდა ჰკითხოს ამ დაწესებულებების მიერ შედგენილი დოკუმენტაციის შესახებ და სთხოვოს მისი წარმოდგენა, ან, მსხვერპლის თანხმობის შემთხვევაში, თავად გამოითხოვოს.
- ჩაუტარდა თუ არა მსხვერპლს სამედიცინო ექსპერტიზა სხეულზე არსებულ დაზიანებებთან დაკავშირებით? დადებითი პასუხის შემთხვევაში, როდის ჩაუტარდა და რა სახის დასკვნა გასცა ექსპერტმა? მსხვერპლმა ადვოკატს უნდა წარუდგინოს ექსპერტიზის დასკვნის ასლი.
- ჩაუტარდა თუ არა მსხვერპლს ექსპერტიზა მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ? დადებითი პასუხის შემთხვევაში, როდის ჩაუტარდა და რა სახის დასკვნა გასცა ექსპერტმა? ადვოკატმა მსხვერპლს უნდა მოსთხოვოს ამ ექსპერტიზის დასკვნის ასლის წარმოდგენა.

- ხომ არ გადაუღია მსხვერპლს ან მის ახლობელს ფოტო/ვიდეო სხეულზე არსებული დაზიანებების ასახვის მიზნით? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ადვოკატმა უნდა მოითხოვოს ამ სურათების/ვიდეოს წარმოდგენა. ასევე, ახსნა-განმარტებაში უნდა მიეთითოს ფოტოს/ვიდეოს წარმომავლობის საკითხი, კერძოდ, როდის, ვის მიერ და რით არის გადაღებული და რა ჩანს ამ ფოტო/ვიდეო მასალაში.
- მომხდარი ფაქტის თაობაზე დაუკავშირდა თუ არა მსხვერპლი რომელიმე ოფიციალურ ორგანოს/ადვოკატს? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, რა იყო ამის მიზეზი?

3.9. გამოძიებასთან დაკავშირებული კითხვები

- მიმდინარეობს თუ არა ეროვნულ დონეზე გამოძიება მსხვერპლის მიმართ განხორციელებულ ფაქტთან დაკავშირებით? დადებითი პასუხის შემთხვევაში, რომელი უწყება აწარმოებს გამოძიებას? როდის დაიწყო გამოძიება და რა მუხლით მიმდინარეობს? რა გახდა გამოძიების დაწყების საფუძველი? აქვს თუ არა წერილებით მიმართული საგამოძიებო ორგანოებისთვის? თუ გამოძიება მსხვერპლის მიმართვის საფუძველზე დაიწყო და, ასევე, ამ უკანასკნელს აქვს დამატებით სხვა მიმართვებიც, მოეპოვება თუ არა აღნიშნული დოკუმენტების ასლები და შეუძლია თუ არა მათი წარმოდგენა?
- დაიკითხა თუ არა უშუალოდ მსხვერპლი მიმდინარე გამოძიების ფარგლებში? როდის დაიკითხა და რა სახის ჩვენება მისცა?
- მოითხოვა თუ არა მსხვერპლმა გამოძიების ფარგლებში დაზარალებულის სტატუსის მინიჭება? დადებითი პასუხის შემთხვევაში, როდის მოითხოვა და მიენიჭა თუ არა დაზარალებულის სტატუსი? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, რა იყო სტატუსის მინიჭებაზე უარის მიზეზი? გაასაჩივრა თუ არა სტატუსის მინიჭებაზე უარი ზემდგომ პროკურორთან/სასამართლოში?
- საგამოძიებო ორგანოების გარდა, ხომ არ მიუმართავს სხვა უწყებისთვის (მაგალითად სახალხო დამცველისთვის) მომხდარი ფაქტის თაობაზე? დადებითი პასუხის შემთხვევაში,

რა სახის ღონისძიებები გაატარეს ამ უწყებებმა საქმესთან დაკავშირებით?

- რა ეტაპზეა ამჟამად გამოძიება და, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ დრომდე რა ტიპის საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარეს შესაბამისმა ორგანოებმა?
- მიმდინარეობს თუ არა კვლავ გამოძიება? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, როდის შეწყდა გამოძიება და რა იყო ამის მიზეზი? გაასაჩივრა თუ არა შეწყვეტის შესახებ დადგენილება ზემდგომ პროკურორთან/სასამართლოში?

4. სექსუალური ძალადობის მსხვერპლისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევა

სექსუალური ძალადობის მსხვერპლისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევამდე, მნიშვნელოვანია, ადვოკატი გაეცნოს მათთან გასაუბრების დროს მხედველობაში მისაღებ ზოგად ფსიქოლოგიურ საკითხებს.[1]

4.1. პერსონალური მონაცემები

- სახელი, გვარი
- დაბადების თარიღი
- საქმიანობა
- მისამართი
- ტელეფონის ნომერი ან სხვა საკონტაქტო ინფორმაცია

4.2. ზოგადი ინფორმაცია დანაშაულის შესახებ

- დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი და ვითარება, დამნაშავის/დამნაშავეების და მსხვერპლის ასაკი და ერთმანეთთან დამოკიდებულება (მაგალითად, მეუღლე, უცნობი ადამიანი, ნაცნობი, თანამშრომელი, მეგობარი, შეყვარებული). აქვე უნდა მოხდეს მითითება, არის თუ არა პირი რომელიმე მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელი (იხ. ქვემოთ).
- რა სახის სექსუალური ძალადობა განიცადა მსხვერპლმა? ადვოკატი უსვამს მსხვერპლს კითხვებს ძალადობის შემდეგ ფორმებზე:

[1] მაგ. Femifesto - "10 Essential Tips on Interviweing Survivors of Sexual Assolt", ხელმისაწვდომია: http://www.femifesto.ca/wp-content/uploads/2015/11/InterviewingSurvivors.pdf [ბოლო ნახვა: 15.05.2020]; ასევე, UNODC - "Handbook on Effective Prosecution Responses to Violence Against Women and Girls", გვ. 50-51. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2WsuwqO [ბოლო ნახვა: 15.05.2020].

ა) გაუპატიურება ძალადობით (ადვოკატი უსვამს კითხვებს, თუ რა საშუალებით მოხდა ძალადობა);

ბ) გაუპატიურება ძალადობის მუქარით (ადვოკატი უსვამს კითხვებს, თუ რა სახის მუქარას ჰქონდა ადგილი);

გ) გაუპატიურება მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით (კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა მსხვერპლის უმწეო მდგომარეობა);

დ) სქესობრივი კავშირის იძულება სხვა რაიმე საშუალებით (ადვოკატი უსვამს კითხვებს, თუ რა საშუალებით მოხდა ძალადობა).

- სექსუალურ ძალადობასთან ერთად, ადგილი ჰქონდა თუ არა რამე სხვა დანაშაულს? გთხოვთ, დააკონკრეტოთ.
- შეესწრო თუ არა ვინმე მის მიმართ ჩადენილ სექსუალურ ძალადობას?

4.3. დანაშაულის შესახებ შეტყობინება

- როდის და როგორ მოხდა დანაშაულის შესახებ სათანადო ორგანოსთვის (პოლიცია) შეტყობინება? ვინ შეატყობინა? რამდენი ხანი იყო გასული დანაშაულის ჩადენიდან? რამ განაპირობა მსხვერპლის მიერ დანაშაულის შეტყობინება სწორედ ამ დროს? რამე ბარიერს ხომ არ წააწყდა (თუ იყო მიზეზები, რის გამოც ერჩივნა, რომ დანაშაულის შესახებ არ ეცნობებინა)?
- როგორი იყო დანაშაულის შეტყობინების დროს პოლიციის/გამომძიებლის დამოკიდებულება? განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებებს: რამდენად სანდოდ მიიჩნია პოლიციამ/გამომძიებელმა მისი მონათხრობი? რა სახის კითხვებს უსვამდნენ და რა მტკიცებულებების წარმოდგენა მოსთხოვეს? გააკეთეს თუ არა რაიმე სახის კომენტარი მის ჩაცმულობაზე, გარეგნობაზე, წინა სექსუალურ ცხოვრებაზე, დანაშაულის ჩადენის ადგილსა და დროზე? ზოგადად, რამდენად ეთიკური იყო მის მიმართ პოლიცია/გამომძიებელი (სთხოვეთ, მოიყვანოს კონკრეტული მაგალითები).

4.4. დანაშაულის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა

- დაიწყო თუ არა ქმედებაზე გამოძიება? სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლის საფუძველზე დაიწყო გამოძიება? მიაჩნია თუ არა მსხვერპლს, რომ აღნიშნული მუხლი შეესაბამებოდა მის მიმართ ჩადენილ დანაშაულს? ხომ არ იყო მუხლი ზედმეტად მსუბუქი ან ზედმეტად მძიმე? ასახავდა თუ არა ეს მუხლი ყველა ქმედებას, რომელიც მის მიმართ განხორციელდა? მოითხოვა თუ არა მუხლის შეცვლა? ასეთ შემთხვევაში, რა შედეგით დასრულდა მოთხოვნა?

- როგორი იყო გამოძიების პროცესში (სანამ საქმე სასამართლოს გადაეცემოდა) მსხვერპლის ურთიერთობა საგამოძიებო ორგანოებთან? უზრუნველყოფილი იყო თუ არა მსხვერპლის უფლებების დაცვა და მის მიმართ ეთიკური მოპყრობა?

- რამდენად სანდოდ მიიჩნევდა გამომძიებელი/პროკურორი მსხვერპლის მონათხრობს? რა სახის კითხვებს უსვამდნენ და რა მტკიცებულებების წარმოდგენა მოსთხოვა პოლიციამ/გამომძიებელმა? უსვამდა თუ არა გამომძიებელი კითხვებს მისი სექსუალური ცხოვრების შესახებ (მათ შორის, ქალწულობის და საქალწულე აპკის დარღვევის შესახებ)? უსვამდა თუ არა კითხვებს მის ჩაცმულობასა ან ალკოჰოლის მიღებაზე იმ დროს, როდესაც დანაშაული მოხდა? ეჭვქვეშ ხომ არ აყენებდა მომხდარ ფაქტს დანაშაულის ჩადენის ადგილის, დროის და სხვა გარემოებების გამო? უსვამდნენ თუ არა ისეთ კითხვებს, რომლებიც დანაშაულს არ უკავშირდებოდა და, მსხვერპლის აზრით, მის ინტერესებს აზიანებდა?

- მიაჩნია თუ არა მსხვერპლს, რომ გამომძიებელი/პროკურორი ითხოვდა მტკიცებულებებს, რომელთა წარმოდგენაც/მოპოვებაც არ იყო საჭირო? რა იყო ეს მტკიცებულებები?

- რამდენად დაცული იყო მსხვერპლის პერსონალური ინფორმაცია გამოძიების სტადიაზე? პოლიციაში გამოკითხვის დროს, მსხვერპლის და გამომძიებლის გარდა, ესწრებოდნენ/იმავე ოთახში იმყოფებოდნენ თუ არა სხვა ადამიანები (მათ შორის სხვა პოლიციელები)? გამოძიების სტადიაზე ინფორმაცია ხომ არ გახმაურებულა რამე ფორმით?

- ჩაუტარდა თუ არა მსხვერპლს სასამართლო-სამედიცინო ექ-

სპერტიზა? მან თავად მიმართა ექსპერტიზის ბიუროს, თუ საგამოძიებო ორგანოების ინიციატივით განხორციელდა? აღწერეთ მსხვერპლის გამოცდილება სამედიცინო ექსპერტებთან. რამდენად ეთიკური იყო ექსპერტების დამოკიდებულება? რა სახის ინფორმაცია იყო მოპოვებული? როგორ აფასებს მსხვერპლი ექსპერტიზის შედეგს - მისი აზრით, საქმისთვის მნიშვნელოვანი იყო თუ არა ის ინფორმაცია, რომლის მოპოვებაც მოხდა?

- რამდენად ეფექტიანად და დროულად ახერხებდა საგამოძიებო ორგანო მტკიცებულებების მოპოვებას? ხომ არ ხდებოდა მათი მოპოვება დაგვიანებით (გთხოვთ, დაასახელოთ კონკრეტული მაგალითი)? რამდენად ეკისრებოდა მსხვერპლს მტკიცებულებების შეგროვების ტვირთი/ვალდებულება (ანუ, ევალებოდა თუ არა გარკვეული მტკიცებულებების თავად მოპოვება და წარდგენა)?
- რომელიმე ეტაპზე ხომ არ შეცვალა მსხვერპლმა ჩვენება? ხომ არ უარყო, რომ მის მიმართ განხორციელდა სექსუალური ძალადობა, ან ხომ არ უარყო, რომ ძალადობა კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა? რა იყო უარყოფის ან ჩვენების შეცვლის მიზეზი? რა რეაგირება მოჰყვა სამართალდამცავი ორგანოს მხრიდან მის მიერ ჩვენების შეცვლას - ხომ არ გახდა ეს გამოძიების შეწყვეტის ან მის მიმართ ცრუ დასმენის მუხლით გამოძიების დაწყების საფუძველი? ფიქრობს თუ არა მსხვერპლი, რომ მისმა ამგვარმა ქცევამ რამე გავლენა მოახდინა გამოძიების შედეგზე?
- თუ ცრუ დასმენის მუხლით (ან, მსხვერპლის საწინააღმდეგოდ, რამე სხვა მუხლით) დაიწყო გამოძიება, რა შედეგით დასრულდა იგი და რა გავლენა მოახდინა მსხვერპლის წარმოდგენაზე მართლმსაჯულების პროცესის შესახებ?
- იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლის მიმართ არ დაწყებულა გამოძიება ცრუ დასმენის გამო - ჰქონდა თუ არა შიში, რომ ამგვარი რამ, შესაძლოა, მომხდარიყო? დადებითი პასუხის შემთხვევაში, რამ გააჩინა შიშის საფუძველი და რა გავლენა იქონია მასზე ყოველივე ამან?
- რომელიმე ეტაპზე ბრალდებულს, ბრალდებულის ადვოკატს, გამომძიებელს, პროკურორს ან მოსამართლეს ხომ არ შეუ-

თავაზებიათ (პირდაპირ ან არაპირდაპირ) ბრალდებულთან შერიგება? ხომ არ შეუთავაზებიათ ბრალდებულთან ქორწინება „სირცხვილის“ თავიდან არიდების მიზნით? ხომ არ შეუთავაზებიათ გარკვეული თანხა შერიგების სანაცვლოდ? ხომ არ უთქვამთ, რომ შერიგების შემთხვევაში ბრალდებულს მოეხსნებოდა ან შეუმსუბუქდებოდა ბრალი, ან მის მიმართ გაფორმდებოდა საპროცესო შეთანხმება? რას სთავაზობდნენ შერიგების სანაცვლოდ?

- მოითხოვა თუ არა გამოძიების ფარგლებში დაზარალებულის სტატუსის მინიჭება? დადებითი პასუხის შემთხვევაში, როდის მიენიჭა სტატუსი? თუ - არა, რა იყო სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის მიზეზი?
- იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლის მიმართ ჩადენილ ქმედებაზე გამოძიება არ დაწყებულა, რა იყო ამის მიზეზი? რა მოიმოქმედა მან ამის შემდეგ? გაასაჩივრა თუ არა უარი ზემდგომ პროკურორთან?
- სანამ სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადაეცემოდა სასამართლოს, საგამოძიებო ორგანოებმა მისცეს თუ არა მას სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის უფლება? გაეცნო თუ არა? რა სახის მტკიცებულებები იყო მოპოვებული გამოძიების ფარგლებში?

4.5. სასამართლოს ეტაპი

- რა დრო გავიდა გამოძიების დაწყებიდან პირველ სასამართლო სხდომამდე?
- რა დრო გავიდა პირველი სასამართლო სხდომიდან განაჩენის გამოტანამდე?
- მართლმსაჯულება სწრაფი იყო თუ გაჭიანურებული? გაჭიანურების შემთხვევაში, რა გავლენა მოახდინა ამან დაზარალებულზე? აღნიშნულ პერიოდში ხომ არ განხორციელდა ბრალდებულის მხრიდან რამე სახის ზეწოლა ან შურისძიება მასზე ან მის ახლობლებზე? დადებითი პასუხის შემთხვევაში, რაში გამოიხატა იგი?
- იყო თუ არა მსხვერპლი ინფორმირებული სასამართლო პრო-

ცესების შესახებ? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ესწრებოდა თუ არა პროცესებს? თუ არ ესწრებოდა, რატომ?

- სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე შეფარდებული ჰქონდა თუ არა პატიმრობა ბრალდებულს? მსხვერპლი იყო თუ არა ინფორმირებული, რა სახის აღკვეთის ღონისძიება ჰქონდა შეფარდებული? მოქმედებდა თუ არა ამ პერიოდში შემაკავებელი ან დამცავი ორდერი? იმ შემთხვევაში, თუ პატიმრობა არ ჰქონდა შეფარდებული - განუცდია თუ არა რაიმე სახის საფრთხე ან ზეწოლა ბრალდებულისგან მას ან მის ახლობლებს? ხომ არ ფიქრობს, რომ ბრალდებული მოწმეებზე ახდენდა ზემოქმედებას?

- იყო თუ არა გამოყენებული მსხვერპლის მიმართ დაცვის რამე ღონისძიება სასამართლო პროცესზე ან მის გარეთ?

- მოხდა თუ არა სასამართლოში მისი დაკითხვა ზეპირად, ბრალდებულის თანდასწრებით? როგორ აღწერს ამ პროცესს და რა გავლენა მოახდინა ამან მასზე? ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა, თავად აერჩია ჩვენების მიცემის ფორმა? რას ფიქრობს დაკითხვის ალტერნატიულ საშუალებებზე, როგორიცაა ვიდეოჩართვა, ახსნა-განმარტების წერილობით წარდგენა (რომელსაც სასამართლო პროცესზე წაიკითხავდნენ) ან დაკითხვის რამე სხვა ფორმა?

- სასამართლო პროცესზე ბრალდებული, მისი ადვოკატი, პროკურორი ან მოსამართლე ხომ არ უსვამდნენ მას არაეთიკურ ან ღირსების შემლახველ კითხვებს? ხომ არ აპელირებდნენ მის მორალურ მხარეზე, ჩაცმულობაზე, ქცევასა ან სხვა მსგავს საკითხებზე მის საზიანოდ (სთხოვეთ, მოიყვანოს მაგალითები). თუ კითხვები მომდინარეობდა ბრალდებულის, მისი ადვოკატის ან პროკურორისგან, აღკვეთა თუ არა ისინი მოსამართლემ?

- რამდენჯერ მოუწია ერთი და იმავე ისტორიის გამეორება დანაშაულის შესახებ (კითხვა ეხება არა მხოლოდ სასამართლოს, არამედ გამოძიების ეტაპსაც)? რა გავლენა მოახდინა მასზე ფაქტების არაერთხელ გამეორებამ? რა გააკეთა გამომძიებელმა/პროკურორმა/მოსამართლემ იმისთვის, რომ მსხვერპლს თავი კომფორტულად ეგრძნო?

- სამართლებრივი პროცესების მიმდინარეობამ გააუმჯობესა თუ გააუარესა მსხვერპლის მდგომარეობა (იგულისხმება როგორც გამოძიების, ისე სასამართლოს ეტაპი)? რა იღონეს გამომძიებელმა, პროკურორმა ან მოსამართლემ, რომ პროცედურები მისთვის ნაკლებად სტრესული ყოფილიყო? რა იყო მსხვერპლისთვის ყველაზე სტრესული? რა იყო ყველაზე ნაკლებად სტრესული?
- სასამართლო პროცესები ღია იყო თუ დახურული? მსხვერპლის აზრით, პროცესი ღია უნდა ყოფილიყო თუ დახურული? რატომ? იმ შემთხვევაში, თუ პროცესი დახურული იყო, ხომ არ ხდებოდა იქიდან ინფორმაციის გავრცელება?
- მოსამართლემ ბრალდებულისთვის წარდგენილი მუხლი ხომ არ შეცვალა სხვა, უფრო მსუბუქი მუხლით? მსხვერპლის აზრით, რა იყო ამის მიზეზი?
- ბრალდებული გამართლდა თუ გამტყუნდა?
- გამართლების შემთხვევაში, მსხვერპლის აზრით, რა იყო ამის მიზეზი?
- გამტყუნების შემთხვევაში, რა სახის სასჯელი შეეფარდა ბრალდებულს? მსხვერპლის შეფასებით, იყო თუ არა სასჯელი სამართლიანი?
- თუ გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა - მოხდა თუ არა მისი სათანადოდ ინფორმირება მიზეზებთან დაკავშირებით? როგორ აფასებს მსხვერპლი ამ მიზეზებს?
- თუ ბრალდებულთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება - მსხვერპლს ეს რამდენად სამართლიანად მიაჩნია? იკითხა თუ არა პროკურორმა ან მოსამართლემ მისი აზრი საპროცესო შეთანხმების შესახებ?
- როგორ აფასებს მოსამართლის როლს საქმესთან დაკავშირებით? მსხვერპლის აზრით, რა ფაქტორებმა მოახდინა ზეგავლენა მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე? მიიღო თუ არა მოსამართლემ მხედველობაში მსხვერპლისთვის საზიანო ფაქტორები? რა იყო ისინი?
- უფრო კონკრეტულად, მოსამართლემ <u>მსხვერპლის საზიანოდ</u> ხომ არ გამოიყენა შემდეგი ფაქტორები:

ა) მსხვერპლის დამოკიდებულება/ურთიერთობა ბრალდებულთან;

ბ) მისი სექსუალური ცხოვრება, სანამ დანაშაული მოხდებოდა; იყო თუ არა „ქალიშვილი“ ძალადობის ფაქტის ჩადენამდე;

გ) მისი „მორალური მხარე“;

დ) ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ეცვა, სად იმყოფებოდა; დანაშაულის ჩადენის დრო; ალკოჰოლის მიღების ფაქტი;

ე) გარემოებები, რომლებიც წინ უძღოდა სექსუალურ ძალადობას - გაჰყვა თუ არა მოძალადეს საკუთარი ნებით იმ ადგილას, სადაც ძალადობა მოხდა;

ვ) მსხვერპლის შერიგება მოძალადესთან;

ზ) რამე სხვა გარემოება, რომლის გამოყენებაც მსხვერპლის საწინააღმდეგოდ/საზიანოდ მოხდა.

4.6. სერვისები

- მიიღო თუ არა მსხვერპლის დაცვისა და დახმარების სერვისები (მაგალითად, კრიზისული ცენტრი, თავშესაფარი, სამედიცინო, ფსიქოლოგიური დახმარება)? რა სერვისები იყო ეს და როგორ აფასებს მათ ეფექტურობას?
- ჰქონდა თუ არა შეხება მოწმისა და მსხვერპლის კოორდინატორთან? რა სახის დახმარება გაუწიეს მათ და როგორ აფასებს მიღებულ დახმარებას?
- ჰყავდა თუ არა ადვოკატი, რომელიც მის ინტერესებს დაიცავდა? ფიქრობს თუ არა, რომ ადვოკატის არყოლამ რაიმე გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე?

4.7. დამატებითი კითხვები მოწყვლადი ჯგუფებისთვის

ეს კითხვები ზემოთ მოყვანილ კითხვებთან ერთად, დამატებით უნდა დაისვას, თუ ქალი მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელია.

შშმ პირები

- რამდენად მარტივი იყო მისთვის, როგორც შშმ ქალისთვის, სექსუალურ ძალადობაზე შეტყობინების გაკეთება? რა ბარიერები შეხვდა?
- გამოძიების ან სასამართლო ეტაპზე შეექმნა თუ არა რამე ისეთი ბარიერი/დაბრკოლება, რაც სხვა ქალებს (რომელთაც არ აქვთ შეზღუდული შესაძლებლობა) არ ექმნებათ (სთხოვეთ, დაასახელოს კონკრეტული მაგალითები).
- ზოგადად, არსებობს თუ არა საზოგადოებისა ან სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს შორის გავრცელებული სტერეოტიპები ან დამოკიდებულებები, რომელთა გამოც შშმ ქალები არ მიმართავენ პოლიციას, როდესაც სექსუალურ ძალადობას განიცდიან?
- როგორ ფიქრობს, პოლიცია/პროკურორი/მოსამართლე/ბრალდებულის ადვოკატი მას, როგორც შშმ ქალს, განსხვავებულად (დისკრიმინაციულად) ხომ არ ეპყრობოდა შეზღუდული შესაძლებლობის გამო (სთხოვეთ, დაასახელოს კონკრეტული მაგალითები).

სექსმუშაკები

- რამდენად ხშირია მის მიმართ სექსუალური ძალადობა? ვისი მხრიდან ხორციელდება (კლიენტი, პოლიცია)? რამდენჯერ და რომელი შემთხვევების შესახებ შეატყობინა პოლიციას? რა არის შეუტყობინებლობის მიზეზი?
- არსებული კანონმდებლობა (პროსტიტუცია - ადმინისტრაციული სამართალდარღვევა; პროსტიტუციისთვის ფართის გადაცემა - სისხლის სამართლის დანაშაული) უშლის თუ არა ხელს, რომ სექსუალური ძალადობის ჩამდენები დაისაჯონ? მაგალითად, შიშობს თუ არა, რომ, თუ პოლიციას სექსუალური ძალადობის შესახებ შეატყობინებს, შეიძლება, მასაც დაეკისროს პასუხისმგებლობა სხვა საფუძვლით?
- იმ შემთხვევაში, თუ ფაქტზე გამოძიება დაიწყო - მსხვერპლის აზრით, რამდენად მოახდინა გავლენა მისმა სტატუსმა (სექსმუშაკი) საქმის შედეგზე? რატომ ფიქრობს ასე? სექსმუშაკი

რომ არ ყოფილიყო, ფიქრობს თუ არა, რომ სხვაგვარი შედეგი დადგებოდა?

- ისარგებლა თუ არა მსხვერპლის დაცვისა და დახმარების რომელიმე სერვისით და რამდენად იყო მორგებული ეს სერვისები მის (როგორც სექსმუშაკი ქალის) ინტერესებზე? თუ არ უსარგებლია, რამ შეუშალა ხელი?

ეთნიკური უმცირესობები (იმავე სახის კითხვები მიგრანტების შემთხვევაში)

- რამდენად მარტივი იყო მისთვის სექსუალური ძალადობის საკითხზე პოლიციისთვის მიმართვა? რა ფაქტორებმა მოახდინა გავლენა გადაწყვეტილების მიღების დროს, მიემართა თუ არა პოლიციისთვის?
- მისი აზრით, ეთნიკური კუთვნილების გამო ხომ არ აღმოჩნდა არახელსაყრელ მდგომარეობაში სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოს მხრიდან (სთხოვეთ, მოიყვანოს მაგალითები).
- ისარგებლა თუ არა მსხვერპლის დაცვისა და დახმარების რომელიმე სერვისით და რამდენად იყო ისინი მორგებული მისი, როგორც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლის, ინტერესებზე? ენის ბარიერის შემთხვევაში - იყო თუ არა უზურუნველყოფილი თარჯიმნის მომსახურებით ყველა ეტაპზე?
- მისი აზრით, რა შეუწყობდა ხელს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობის ფაქტებზე მართლმსაჯულების პროცესების გაუმჯობესებას (იგულისხმება გამოძიება, სასამართლო განხილვის პროცესები, მსხვერპლის დახმარების სერვისები).

ტრანსგენდერი ქალები

- გამოძიების ან სასამართლო ეტაპზე შეექმნა თუ არა რამე ისეთი ბარიერი, რაც სხვა ქალებს (რომლებიც არ არიან ტრანსგენდერები) არ ექმნებათ (სთხოვეთ, მოიყვანოს კონკრეტული მაგალითები).

- არსებობს თუ არა საზოგადოებასა ან სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებში გავრცელებული სტერეოტიპები ან დამოკიდებულებები, რომელთა გამოც ტრანსგენდერი ქალები არ მიმართავენ პოლიციას სექსუალური ძალადობის შემთხვევაში?
- მისი აზრით, რამდენად შესაძლებელია, რომ ტრანსგენდერი ქალის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის შემთხვევაში დამნაშავე დაისაჯოს? აკმაყოფილებს თუ არა არსებული სისტემა ტრანსგენდერ ქალთა საჭიროებებს?
- მისი აზრით, ეპყრობა თუ არა ტრანსგენდერ ქალს განსხვავებულად (დისკრიმინაციულად) პოლიცია/პროკურორი/მოსამართლე/ბრალდებულის ადვოკატი (სთხოვეთ, მოიყვანოს შესაბამისი მაგალითები).
- პოლიცია/პროკურორი/მოსამართლე/ბრალდებულის ადვოკატი მას ეპყრობოდნენ, როგორც ტრანსგენდერ ქალს, თუ - როგორც მამაკაცს (სთხოვეთ, მოიყვანოს კონკრეტული მაგალითები).

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
სიია
GYLA
Georgian Young Lawyers' Association